

როჯერ ზელაზნი

განმეების კარტი

ამბერის ქრონიკები

წიგნი 6



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

2015

“Trumps of Doom” Roger Zelazny

„განგების კარტი“ როჯერ ზელაზნი

მთარგმნელი: დავით ახალაძე

რედაქტორი: ანდრო ბუაჩიძე

დაკაბადონება: თინათინ კვიციანი

FUNDED THROUGH THE BOOK TRANSLATION PROGRAM,
U.S. EMBASSY IN GEORGIA

დაფინანსებულია საქართველოში აშშ-ს საელჩოს წიგნების
თარგმნის პროგრამის ფარგლებში

Copyright © 1985 by Roger Zelazny, renewed 2003 by Amber Ltd.Co.

Published by agreement with the author and Amber Ltd.Co.

საავტორო უფლება თარგმანზე

© 2015 ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ISBN 978-9941-18-173-3

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო

ILIA STATE UNIVERSITY PRESS

3/5 Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia

თავი პირველი

გულხელდაკრეფილი ჯდომა და ლოდინი — კვლავ როდის დამიპირებდნენ მოკვლას, ბუასილივით გულს მიწვრილებდა, მაგრამ რახან ოცდაათი აპრილი იყო, რა თქმა უნდა, ყველაფერი ჩვეულებისამებრ მოხდებოდა. თავიდან დრო დამჭირდა ამ ამბავში გასარკვევად, მაგრამ ამჯერად ზუსტად ვიცოდი, როდის განხორციელდებოდა მომდევნო მცდელობა. აქამდე ძალიან დაკავებული ვიყავი საიმისოდ, რომ რაიმე მეღონა, მაგრამ ახლა საქმე მოთავებული მქონდა და აქ მხოლოდ ამის გამო ვრჩებოდი. ვგრძნობდი, წასვლამდე აუცილებლად ყველაფერში უნდა გავრკვეულიყავი.

ლოგინიდან გამოვძვერი და სააბაზანოში შევედი. წყალი გადავივლე, კბილები გავიხეხე და ცოტა გავლამაზდი. წვერი კვლავ მოშვებული მქონდა და გაპარსვა აღარ მჭირდებოდა. სამი წლის წინანდელი ოცდაათი აპრილისგან განსხვავებით, განგაშის აუხსნელი გრძნობა არ გამჩენია. მაშინ თავის ტკივილმა და უცნაურმა ბიძგმა გამაღვიძა. სასწრაფოდ წამოვხტი, ფანჯარა გავაღე და სამზარეულოში გავვარდი. გაზქურის ორივე სანთურა ბოლომდე იყო გახსნილი, ცეცხლი კი არ ეკიდა. არც ორი წლის წინანდელი ოცდაათი აპრილი ჰგავდა დღევანდელ დღეს — მაშინ გათენებამდე კარგა ხნით ადრე დამწვრის სუნმა გამაღვიძა და სახლში ხანძარი აღმოვაჩინე.

თუმცა, ყოველი შემთხვევისთვის, მაინც ვცდილობდი ჭალისა და ბრების ქვეშ არ დავმდგარიყავი, რადგან ნათურები შეიძლებოდა აალებადი ნივთიერებით ყოფილიყო

სავსე. ამიტომაც თითის დაჭერის ნაცვლად, ყველა გამომრთველს ფრთხილად მივკარი ხელი... მაგრამ არაფერიც არ მოხდა.

ჩვეულებრივ, დაძინების წინ დროის რელეს ვურთავ ხოლმე მადულარას, მაგრამ იმ დილით ჩემი მეთვალყურეობის გარეშე მოღუღლებული ყავის დაღევა არ მინდოდა. ამიტომაც წყალი ქურაზე დავადგი და სანამ წამოდუღებოდა, ბარგის შემოწმებას შევუდექი. რაც მჭირდებოდა ან მეძვირფასებოდა — ტანსაცმელი, წიგნები, ინსტრუმენტები, რამდენიმე სურათი თუ სუვენირი და ათასი სხვა წვრილმანი — ყველაფერი ორ საშუალო ზომის ყუთში მოთავსდა.

ორივე ყუთი დავლუქე.

ზურგჩანთაში ერთი ხელი საცვალი, თხელი სპორტული სვიტერი, უბის წიგნაკი და საგზაო ქვითრების დასტა ჩავალაგე. წასვლის წინ გასაღები სახლის მეპატრონისთვის უნდა დამეტოვებინა, რომ ჩემი ყუთები საწყობში გადაეტანა და ბინაში ახალი მცხოვრებნი შეეშვა.

იმ დღეს კროსისთვის არ მეცალა.

სანამ ყავას ვწრუპავდი, ქუჩისა და მოპირდაპირე შენობების დასაზვერად ფანჯრებში ვიყურებოდი — შარშან ვილაცამ შაშხანის გამოყენებაც სცადა. ის დღე გამახსენდა, როდესაც პირველად დამიპირეს მოკვლა.

შვიდი წლის წინ, გაზაფხულის ერთ მშვიდ დილას არხეინად მივსეირნობდი ქუჩაში. ერთმა სატვირთო მანქანამ, ყოველგვარი მიზეზის გარეშე ჩემკენ გადმოუხვია, ტროტუარზე ამოვარდა და კინალამ აგურის კედელს მიმასრისა. მხოლოდ უკანასკნელ წამს მოვასწარი განზე გახტომა. თავიდან ეს ამბავი ერთი იმ სულელურ უბედურ

შემთხვევათაგანი მეგონა, რომლებიც დროდადრო ხდება ხოლმე ჩვენს ცხოვრებაში.

მაგრამ მომდევნო წელს, იმავე რიცხვში, გვიან ღამით მეგობარი ქალისგან შინ დაბრუნებულს თავს სამნი დამესხნენ — ერთი დანით იყო შეიარაღებული, დანარჩენებს კი რკინის მილის გადანაჭრები მოემარჯვებინათ. ზრდილობისთვის, საფულე მაინც მოეთხოვათ. პირდაპირ საქმეს შეუდგნენ.

გონდაკარგულები უახლოესი მაღაზიის ზღურბლთან დავეყარე და, მიუხედავად იმისა, რომ მთელ ღამეს ამ ამბავზე ვფიქრობდი, მხოლოდ დილით გამახსენდა, წინა დღეს სატვირთო მანქანასთან დაკავშირებული შემთხვევის წლისთავი რომ იყო. თავიდან ეს ჩვეულებრივ, თუმცაღა საკმაოდ უცნაურ დამთხვევად მივიჩნიე, მაგრამ როდესაც ერთი წლის შემდეგ ამანათით გამოგზავნილმა ბომბმა მეზობელი ბინის ნახევარი ნაცარტუტად აქცია, სერიოზულად დავფიქრდი — ამ უბედური შემთხვევების სტატისტიკაზე ჩემი უშუალო სიახლოვე ხომ არ ზემოქმედებამეთქი. მომდევნო წლებში მომხდარმა ამბებმა ყველაფერში გარკვეული სიცხადე შეიტანა.

ვიღაცას აშკარად სიამოვნებას ანიჭებდა წელიწადში ერთხელ ჩემზე თავდასხმა — გამოცანას მარტივი პასუხი ჰქონდა. ყოველ უშედეგო მცდელობას ერთწლიანი პაუზა მოსდევდა.

ყოველივე ეს რალაც უცნაურ თამაშს ჰგავდა.

მაგრამ წელს ამ თამაშში ჩაბმას მეც ვაპირებდი.

საინტერესო ის იყო, რომ ჩემი ავისმზრახველი თავდასხმებში პირადად არასოდეს მონაწილეობდა. ღიად შებრძოლებას ის გაიძვერობას — ეშმაკური მახეების დაგებასა

და დაქირავებული მკვლევლების მოგზავნას ამჯობინებდა. ამ პიროვნებას აქაც და ქვემოთაც ასო გ-თი მოვიხსენიებ (რაც ხან „გარეწარს“, ხანაც „გამომტერებულს“ გულისხმობს), რადგან X ძალიან გაცვეთილი პირობითი მონიშვნაა და თანაც არ მინდა საექვო წარმომავლობის სიმბოლოებთან საქმის დაჭერა.

ჭიქას წყალი გამოვავლე, თაროზე შემოვდე, ჩანთა ავიღე და ბინიდან გამოვედი. მისტერ მალიგანი ან სადღაც წასულიყო, ან ეძინა, ამიტომაც გასაღები საფოსტო ყუთში ჩავუგდე, ქუჩაში დავეშვი და სასაუზმოდ უახლოესი კაფესკენ გავწიე.

ქუჩაში ავტომობილების ნაკადი არც ისე მჭიდრო იყო და მძღოლები მოძრაობის წესებს არ არღვევდნენ. ნელა მივსერიწობდი და გარშემო ყველაფერს ვაკვირდებოდი. მშვიდი დილა იდგა და წესით მთელი დღე დარიანი უნდა ყოფილიყო. იმედი მქონდა, საქმეებს დროულად მოვითავებდი და ამ მშვენიერი ამინდით დატკობასაც მოვასწვრებდი.

კაფემდე სალსალამათმა მივალწიე და ფანჯარასთან მდგარ მაგიდას მივუჯექი. ის-ის იყო, ოფიციანტი მომიახლოვდა, რომ ქუჩაში ჩემი ყოფილი თანაკურსელი, მოგვიანებით კი, თანამშრომელი — ლუკას რეინარდი შევნიშნე. ჟღალთმიანი, ექვსი ფუტის სიმაღლის ბრგე კაცი იყო და, გატეხილი ცხვირის მიუხედავად (ან, შესაძლოა, სწორედ ამის წყალობით), საკმაოდ სიმპათიურად გამოიყურებოდა. სავაჭრო აგენტად მუშაობდა და ხმა და მანერებიც სავაჭრო აგენტისა ჰქონდა.

შუშაზე მივაკაკუნე და ჩემკენ გამოვახედე. მან ხელი დამიქნია და კაფეში შემოვიდა.

— გამარჯობა, მერლ! სწორად გამომიცნია, — მხარზე ხელი დამკრა, ჩემ პირდაპირ მოკალათდა და მენიუ ხელიდან ამართვა, — სახლში რომ არ დამხვდი, ვიფიქრე, აქ იქნებოდი.

ლუკმა მენიუ გადაშალა და კითხვას შეუდგა.

— საიდან დაასკვენი? — ვკითხე მე.

— თუ დრო გჭირდებათ, ცოტა მოგვიანებით მოვალ, — სიტყვა გაგვაწყვეტინა ოფიცირანტი.

— არა, არა, — შეაჩერა იგი ლუკმა და უზარმაზარი შეკვეთა მისცა. რაღაც მეც შევუკვეთე.

— იქიდან, რომ ჩვევების მონა ხარ, — მიპასუხა ბოლოს კითხვაზე.

— ჩვევების? — გამიკვირდა, — აქ ძალიან იშვიათად შემოვდივარ!

— ვიცი, — მომიგო მან, — მაგრამ აქ სწორედ მაშინ მოდიხარ ხოლმე, როდესაც დაძაბული ხარ, ვთქვათ გამოცდების წინ, ან როცა რაღაც გაწუხებს.

— ჰმ, — ამოვიოხრე.

მის სიტყვებში აშკარად იყო სიმართლის მარცვალი, თუმცა ამაზე აღრე არასოდეს მიფიქრია. ხელში საფერფლე შევათამაშე. საფერფლეზე მარტორქის თავი იყო გამოსახული. კაფეს შემოსასვლელსაც იგივე ნახატი ამშვენებდა.

— არ ვიცი, ასე რატომ ხდება ხოლმე, — ჩავილაპარაკე ცოტა ხნის დუმილის შემდეგ, — თანაც, რატომ გგონია, რომ რაღაც მადარდებს?

— ჯერ არ დამვიწყებია ოცდაათ აპრილთან დაკავშირე-

ბული შენი პარანოია, ერთი-ორმა უბედურმა შემთხვევამ რომ გაგიჩინა.

— ეგეთი შემთხვევა ერთი და ორი არ ყოფილა... შენ ყველაფერი არ იცი.

— ესე იგი, მართლა გჯერა ამის?

— კი.

მან მხრები აიჩეხა. ოფიცინანტმა ყავა მოიტანა.

— კარგი, — თავი დამიქნია ლუკმა, — დღეს უკვე მოხდა რამე?

— არა.

— ცუდია... იმედია, ეს გარემოება ფიქრში ხელს არ გიშლის.

— სულაც არა, — მივუგე და ყავა მოვსვი.

— მშვენიერია, — მან ამოისუნთქა და გაიზმორა, — მისმინე, მე მხოლოდ გუშინ ჩამოვედი.

— როგორ მოიარე?

— ახალი რეკორდი დავამყარე ვაჭრობაში.

— ყოჩაღ.

— მოკლედ... დავბრუნდი თუ არა, შემატყობინეს, რომ მიგვატოვე...

— ჰო, დაახლოებით ერთი თვეა, რაც წამოვედი.

— მილერი გირეკავდა, მაგრამ ტელეფონი სულ გამორთული გაქვს და ვერაფრით დაგიკავშირდა. ერთი-ორჯერ სახლშიც მოუკითხავს, მაგრამ შინ არ დახვედრიხარ.

— სამწუხაროა.

— უნდა, რომ დაბრუნდე.

— არა. აქ აღარაფერი მესაქმება.

— მოიცა, იქნებ მოგესმინა, რას გთავაზობს! ბრედის

აწინაურებენ, საპროექტოს უფროსად შენ გნიშნავენ. ხელფასი ოცი პროცენტით გაგეზრდება. მთხოვა გადმომეცა.

ჩამეცინა:

— კაცმა რომ თქვას, ცუდი შემოთავაზება არაა... მაგრამ როგორც გითხარი, მანდ აღარაფერი მესაქმება.

— რას ამბობ! — უეცრად გამილიმა და მწერაში ნაპერწკალი გაუკრთა, — ესე იგი, რაღაც უკეთესი გაქვს შეგულებული. მილერმაც ეს იეჭვა... კარგი, თუ საქმე ასეა, მაშინ შეატყობინე, იქ რას გპირდებიან და შეეცდება, უკეთესი პირობები შემოგთავაზოს.

— მაგ საქმიდან არაფერი გამოვა, — თავი გავიქნიე, — უკვე ამოვწურე ჩემი შესაძლებლობები. მორჩა. უკან აღარ დავბრუნდები. თუმცა, რომ იცოდეთ, არც სხვაგან ვაპირებ გადასვლას. საერთოდ აღარ მინდა ამ სფეროში მუშაობა. დამღალა კომპიუტერებმა.

— კი მაგრამ, შენ ხომ შესანიშნავი სპეციალისტი ხარ... ახლა რაღას აპირებ? მასწავლებლობას?

— არა.

— ჯანდაბა! რაღაც ხომ უნდა აკეთო! თუ დიდი ფული იშოვე?

— არა. ალბათ სამოგზაუროდ წავალ. უკვე დიდი ხანია, ერთ ადგილს ვტყეპნი.

ლუკმა ფინჯანი გამოცალა და სკამის საზურგეს მიეყრდნო. მერე ხელი ხელს გადააჭდო, თვალები მილულა და გაინაბა.

ერთხანს ჩუმად ვისხედით.

ბოლოს მკითხა:

— რომ ამბობ, აქ აღარაფერი მესაქმებაო, მხოლოდ სამსახურსა და ამ ქალაქს გულისხმობ, თუ კიდევ სხვა რამესაც?

— არ მესმის, რას გულისხმობ.

— ჯერ კიდევ კოლეჯში სწავლისას გიყვარდა სადღაც გაუჩინარება. დროდადრო იკარგებოდი და ცოტა ხანში ისევ გამოანათებდი ხოლმე. მუდამ რაღაც იდუმალეებით იყავი მოცული. გეგონებოდა, რაღაც ორმაგი ცხოვრებით ცხოვრობდი. ესეც რაიმე კავშირშია შენს წასვლასთან?

— ვერ გავიგე, რისი თქმა გინდა.

მას გაელიმა.

— ყველაფერი მშვენივრად გაიგე, — მითხრა და როცა არაფერი ვუპასუხე, დასძინა, — კარგი, რაც გინდა იყოს, ღმერთმა ხელი მოგიმართოს.

ლუკი ერთ ადგილას დიდხანს ვერასოდეს ჩერდებოდა. ახლაც ვერ ისვენებდა, ხელში გასაღებების აცმას ატრიალებდა. თითო ფინჯანი ყავაც დავლიეთ.

ჩუმად ვისხედით და ამ სიჩუმეში გარკვევით ისმოდა გასაღებების შეკვრისა და ცისფერი ქვით შემკობილი ბრელოკის ჩხრიალი. ბოლოს, როგორც იქნა, საჭმელი მოგვიტანეს და ჩვენც უსიტყვოდ შევუდექით საუზმობას. მერე ლუკმა მკითხა:

— ნავი კიდევ გყავს?

— არა, გასულ შემოდგომას გავყიდე, — მივუგე მე, — ისეთი დაკავებული ვიყავი, რომ აფროსნობის დრო აღარ მრჩებოდა. გულგრილად ვერ ვუყურებდი, ასე უქმად როგორ ცდებოდა.

თავი დამიქნია.

— სამწუხაროა... სტუდენტობისას, კარგი დრო გვატა-